ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ფუნქციები და მოვალეობები

ფსიქოლოგი

ფსიქოლოგი – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კოგნიტური, აკადემიური, სოციალური და ფუნქციონალური უნარების შეფასებას, მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში, უწევს კონსულტირებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს, ქცევის მართვის თერაპევტსა და სხვა სპეციალისტებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების და ქცევის მართვის შესახებ.

ფსიქოლოგის მუშაობის ფორმები - საჭიროების მიხედვით, მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან ინდივიდუალურად და ჯგუფურად, ასევე მუშაობს სსსმ მოსწავლის მშობელთან, მასწავლებლებთან, იყენებს შეფასების, კონსულტირების და ინტერვენციის მეთოდებს.

ახორციელებს სსსმ მოსწავლის შეფასებას - აფასებს და აღწერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და ფუნქციურ უნარებს.

მუშაობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმართვაში - მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში;

მუშაობს სასწავლო სტრატეგიების ეფექტურობაზე - კონსულტაციას უწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიების შესახებ;

მუშაობს ქცევის მართვის გეგმებზე - კონსულტაციას უწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს მოსწავლის ქცევის მართვის შესახებ;

უფლებათა დაცვა - ადვოკატირებას უწევს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უფლებებს;

ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა - ზრუნავს სკოლის დირექციის, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლებაზე ინკლუზიური განათლების სფეროში.

თანაბარი სასწავლო პირობების და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა - ზრუნავს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნაზე;

გადამისამართება - საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის გადამისამართებას სხვა სპეციალისტთან.